

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა  
საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი N 2

ქ. ბათუმი

„ 10 “ „ მაისი “ 2019 წ.

სხდომას ხელმძღვანელობდა: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე

სხდომას ესწრებოდნენ  
საკონკურსო კომისიის  
წევრები:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის მდივანი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - შორენა ფუტკარაძე.

საკონკურსო კომისიის  
მოწვეული წევრები:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - რამაზ მამულაძე;

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭოს კონსულტანტი - გურამ უსტიაშვილი.

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ საჯარო კონკურსის პირველი ეტაპის - გადარჩევის (კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა) შედეგების ცნობად მიღება.



**მ ო ს მ ი ნ ე ს :**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის პასუხისმგებელი პირის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის [www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge) მეშვეობით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად 1 ვაკანსიაზე წარმოდგენილი იქნა 17 განაცხადი. დარეგისტრირებულ განაცხადთა გარკვეული ნაწილი ვერ აკმაყოფილებს კომისიის მიერ დადგენილ (23/04/2019 №1 სხდომის ოქმი) მოთხოვნებს, კერძოდ, კონკურსანტთა ნაწილს საერთოდ არ აქვს ან/და არასრულყოფილად აქვს ატვირთული სავალდებულო დოკუმენტები, ხოლო კონკურსანტთა ნაწილი არ წარმოადგენს მოქმედ საჯარო მოსამსახურეს.

კომისიის წევრების მიერ შეჯამებულ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია, რის შემდგომაც კომისიის წევრები შეთანხმდნენ და დაადგინეს.

**კ ო მ ი ს ი ა მ დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დარეგისტრირებული 17 განაცხადების გადარჩევის შემდეგ:

ა) კონკურსის პირველი ეტაპი კონკრეტული ვაკანსიის (თანამდებობის) მიხედვით წარმატებით გადალახა და კონკურსის შემდეგ ეტაპზე დაშვებულ იქნას წინამდებარე ოქმზე თანდართულ №1 დანართში მოცემული კანდიდატი;

ბ) კონკურსის პირველი ეტაპი კონკრეტული ვაკანსიის (თანამდებობის) მიხედვით ვერ გადალახეს და კონკურსის შემდეგ ეტაპზე - დაშვებული არ იქნან წინამდებარე ოქმზე თანდართული №2 დანართში მოცემული კანდიდატები.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის პასუხისმგებელმა პირმა უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) იმ კანდიდატებს, რომლებმაც ვერ გადალახეს კონკურსის პირველი ეტაპი (კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა) კონკრეტულ ვაკანსიაზე (თანამდებობაზე) და კონკურსის შემდეგ ეტაპზე დაშვებული არ იქნენ, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით.

ბ) კანდიდატს, რომელმაც კონკურსის პირველი ეტაპი წარმატებულად გადალახა და დაშვებული იქნა კონკურსის შემდეგი ეტაპზე, ზეპირი დავალების/გასაუბრების გამართვის, ადგილისა და დროის შესახებ ეცნობოს მის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, არანაკლებ 2 დღით ადრე ზეპირი დავალების/გასაუბრების გამართვის დღისა.

გ) კანდიდატთა ინფორმირების მიზნით კომისიის გადაწყვეტილება - კომისიის სხდომის ოქმი და კონკურსის შემდეგი ეტაპის - ზეპირი დავალების/გასაუბრების გამართვის გრაფიკი განთავსდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.batumicc.ge](http://www.batumicc.ge).



3. კანდიდატს, რომელმაც ვერ გაიარა დახურული კონკურსის პირველი ეტაპი, უფლება აქვს შეტყობინების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი განცხადებით მიმართოს საჯარო სამსახურის ბიუროს განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების მოთხოვნით.

4. კონკურსანტებს უფლება აქვთ საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და კონკურსის შედეგები გაასაჩივრონ სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა  
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს აპარატის უფროსი

რაულ ბოლქვაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
აპარატის საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიის  
თავმჯდომარის მოადგილე,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების  
მართვის განყოფილების უფროსი

მადონა თურმანიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
აპარატის საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიის  
მდივანი,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების  
მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი

შორენა ფუტყარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
ადმინისტრაციის სამართლებრივი  
უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი

რამონ მამულაძე

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი  
პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური  
საბჭოს კონსულტანტი

გურამ უსტიაშვილი



კონკურსის პირველი ეტაპი კონკრეტული ვაკანსიის  
(თანამდებობის) მიხედვით წარმატებით გადალახა და  
შემდეგ ეტაპზე (ზეპირი დავალება / გასაუბრება) დაშვებულ  
იქნა შემდეგი კანდიდატი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო		
N	საკრებულოს აპარატის შვირადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების უფროსი	
	პირადი ნომერი	განაცხადის განხილვის შედეგი
1	N61009005202	აკმაყოფილებს მოთხოვნებს



კონკურსის პირველი ეტაპი - განცხადებების გადარჩევა  
 კონკრეტული ვაკანსიის (თანამდებობის) მიხედვით ვერ  
 გადალახეს და კონკურსის შემდეგ ეტაპზე დაშვებული არ  
 იქნენ შემდეგი კანდიდატები

N	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო		
	საკრებულოს აპარატის მეთორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების უფროსი		
	პირადი ნომერი	ხარვეზი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე	განაცხადის განხილვის შედეგი
1	N61001057768	არ წარმოადგენს მოქმედ საჯარო მოსამსახურეს	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
2	N31001050755	არ წარმოადგენს მოქმედ საჯარო მოსამსახურეს	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
3	N01005006113	აქვს პედაგოგიური განათლება, არ წარმოადგენს მოქმედ საჯარო მოსამსახურეს	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
4	N61006060314	არ აქვს ატვითული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
5	N61001025015	არ წარმოადგენს მოქმედ საჯარო მოსამსახურეს	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
6	N61001015103	არ წარმოადგენს მოქმედ საჯარო მოსამსახურეს	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
7	N01024058654	არ წარმოადგენს მოქმედ საჯარო მოსამსახურეს	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
8	N61001017368	არ წარმოადგენს მოქმედ საჯარო მოსამსახურეს	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
9	N61001065906	არ წარმოადგენს მოქმედ საჯარო მოსამსახურეს	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
10	N33001001128	არ წარმოადგენს მოქმედ საჯარო მოსამსახურეს	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
11	N61009030546	არ წარმოადგენს მოქმედ საჯარო მოსამსახურეს	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
12	N19001007626	არ წარმოადგენს მოქმედ საჯარო მოსამსახურეს	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
13	N38001044987	არ წარმოადგენს მოქმედ საჯარო მოსამსახურეს	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
14	N61006072780	არ წარმოადგენს მოქმედ საჯარო მოსამსახურეს	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
15	N61001064481	არ წარმოადგენს მოქმედ საჯარო მოსამსახურეს	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
16	N01031006449	არ წარმოადგენს მოქმედ საჯარო მოსამსახურეს	არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს

